საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/209-2007 „25“ სექტემბერი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულება.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 მარტის №132 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2007 წლის 25 სექტემბერი № 1/209-2007
გადაწყვეტილებით

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნის მიზანი

საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის (შემდგომში - საგამოცდო კომისია) მიზანია მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის (შემდგომში - საკვალიფიკაციო გამოცდის) მონაწილეთა პროფესიული დონის შემოწმება.

მუხლი 2. საგამოცდო კომისიის შექმნა და მისი შემადგენლობის ანონიმურობის უზრუნველყოფა

1. საგამოცდო კომისიას 15 წევრის შემადგენლობით ქმნის და ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. საგამოცდო კომისია იქმნება საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებამდე არა უადრეს ათი დღისა და მისი უფლებამოსილება წყდება საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების დამტკიცებისთანავე.

3. საგამოცდო კომისია იქმნება სამართლის თითოეული დარგის წარმომადგენელი არანაკლებ ორი სპეციალისტისა და კომისიის თავმჯდომარის შემადგენლობით.

4. საგამოცდო კომისიის შემადგენლობა ანონიმურია და იგი არ შეიძლება გამოცხადდეს გამოცდების შედეგების დამტკიცებამდე.

5. საგამოცდო კომისიის წევრის ვინაობის გამჟღავნება თვით ამ კომისიის წევრის მიერ შეიძლება გახდეს მისთვის საგამოცდო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი.

6. გადაწყვეტილებას საგამოცდო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 3. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

1. საგამოცდო კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც საგამოცდო კომისიის წევრთაგან ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე:

ა) უძღვება საგამოცდო კომისიის სხდომებს;

ბ) ისმენს საკვალიფიკაციო გამოცდის საორგანიზაციო კომისიის (შემდგომში - საორგანიზაციო კომისია) ინფორმაციას უშუალოდ გამოცდების მიმდინარეობის შესახებ;

გ) საგამოცდო კომისიის წევრებს აცნობს საგამოცდო საკითხების (ტესტების) დადგენილ სტანდარტს და მათთან ერთად შეიმუშავებს წერითი ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმებს;

დ) უშუალოდ მეთვალყურეობს გამოცდების შედეგების შეფასების პროცესს;

ე) საგამოცდო კომისიის მიერ გამოცდების შედეგების დამტკიცების შემდეგ წარუდგენს ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;

ვ) საგამოცდო კომისიის შემადგენლობიდან ქმნის საპრეტენზიო კომისიას და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას.

მუხლი 4. საგამოცდო კომისიის წევრობის პირობები

1. საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს სამეცნიერო ხარისხი და/ან სპეციალობით პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საგამოცდო კომისიის წევრი.

მუხლი 5. საგამოცდო კომისიის წევრობის კანდიდატის დასახელება

1. საგამოცდო კომისიის წევრობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს.

2. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვისას ორმა ან მეტმა კანდიდატმა ხმების ერთნაირი რაოდენობა მიიღო, უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელიც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფრო მეტი წევრის მიერ იყო დასახელებული, აქვს უფრო მაღალი სამეცნიერო ხარისხი, ან/და პრაქტიკული მუშაობის უფრო დიდი გამოცდილება.

თავი II. საკვალიფიკაციო გამოცდა

მუხლი 6. საკვალიფიკაციო გამოცდის ეტაპები და შეფასება

1. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ორ ეტაპად: თავდაპირველად ბარდება ტესტური გამოცდა, ხოლო შემდეგ - წერითი გამოცდა.

2. საგამოცდო კომისია მხოლოდ მაშინ აფასებს წერითი გამოცდების შედეგებს, თუ დაცულია საგამოცდო წესის მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში წერითი ნაშრომი შეფასდება 0 (ნული) ქულით.

3. საგამოცდო კომისია საკვალიფიკაციო გამოცდას მიიჩნევს ჩაბარებულად, თუ გამოსაცდელმა წარმატებით ჩააბარა როგორც ტესტური, ისე წერითი გამოცდა.

მუხლი 7. საგამოცდო დარბაზში საგამოცდო კომისიის წევრთა დაუშვებლობა

1. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება საორგანიზაციო კომისიის მიერ წინასწარ გამოცხადებულ ადგილას.

2. დაუშვებელია საგამოცდო დარბაზში საგამოცდო კომისიის წევრთა ყოფნა. გამოცდის მიმდინარეობაზე მეთვალყურეობას ახორციელებენ საორგანიზაციო კომისიის წევრები და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოხელეები.

მუხლი 8. ტესტური გამოცდის შედეგების შემოწმება

1. ტესტური გამოცდის პასუხები მოწმდება კომპიუტერის ან საამისოდ გამიზნული სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობიდან შერჩეული უფლებამოსილი პირების მიერ, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ან მის მიერ უფლებამოსილი საგამოცდო კომისიის წევრის მეთვალყურეობით.

2. ტესტური გამოცდის შედეგების შემოწმებისას დაცულია ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი.

მუხლი 9. წერითი გამოცდის შედეგების შემოწმება

1. წერითი ნაშრომის გასწორებისას დაცულია გამოსაცდელისა და გამომცდელის ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი. ამ მიზნით კომისიის თითოეულ წევრს მიეცემა საიდენტიფიკაციო კოდი.

2. საგამოცდო ბილეთის თითოეული საკითხის პასუხს ერთდროულად ასწორებს საგამოცდო კომისიის წევრი, მოცემული საგნის ორი სპეციალისტი. ყოველი პასუხის ბოლოს იწერება შეფასება და დასტურდება კომისიის აღნიშნული წევრების მიერ საიდენტიფიკაციო კოდით. პასუხის შეფასებისას საგამოცდო კომისიის წევრთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში გადამწყვეტია საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის მოსაზრება.

3. წერითი ნაშრომის გასწორებისა და იდენტიფიკაციის შემდეგ გამოცდის შედეგები შეიტანება საგამოცდო უწყისში და დასტურდება კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით.

მუხლი 10. საპრეტენზიო კომისია

1. საკვალიფიკაციო (ტესტური და წერითი) გამოცდის შედეგების გადასინჯვის მიზნით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობას საგამოცდო კომისიის წევრთაგან განსაზღვრავს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

3. ტესტური და წერითი გამოცდის შემდეგ მიღებული შეფასებით უკმაყოფილო გამოსაცდელი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს საპრეტენზიო კომისიას მისი შეფასების გადასინჯვის მოთხოვნით. პრეტენზია მიიღება გამოცდის შედეგების

გამოცხადებიდან ორი დღის განმავლობაში სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილას. დაგვიანებით შემოსული პრეტენზიები არ განიხილება.

4. ტესტური გამოცდის შეფასების გადასინჯვა, როგორც წესი, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელმა დააგროვა სულ ცოტა 70 (სამოცდაათი) ქულა.

5. წერითი გამოცდის შეფასების გადასინჯვა, როგორც წესი, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელმა დააგროვა სულ ცოტა 10 (ათი) ქულა.

6. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა ანონიმურია და შედგება 7 წევრისაგან.

7. საპრეტენზიო კომისიის მიერ პრეტენზიის განხილვისას დაცულია ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი.

8. ტესტური და წერითი გამოცდის შედეგებზე პრეტენზიების განხილვისას საპრეტენზიო კომისია საპრეტენზიო განცხადებაზე აკეთებს შეფასებას, რაც დასტურდება კომისიის წევრების მიერ საიდენტიფიკაციო კოდით. საპრეტენზიო განცხადებების გასწორებისა და იდენტიფიკაციის შემდეგ პრეტენზიების განხილვის შედეგები შეიტანება საპრეტენზიო უწყისში და დასტურდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით.

მუხლი 11. საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები

1. საკვალიფიკაციო გამოცდების საბოლოო შედეგებს ამტკიცებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია, რომელიც შემდეგ წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

2. პირები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდები, იღებენ სერტიფიკატს.

3. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია გამოცდების შედეგებს აქვეყნებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.